# **გ ა ნ ჩ ი ნ ე ბ ა**

საქართველოს სახელით

**ხარვეზის დადგენის თაობაზე**

**საქმე №3/1187-23**

23 თებერვალი, 2023 წელი

თბილისი

**თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგია**

**მოსამართლე ბაია ოტიაშვილი**

**მოსარჩელე -** ა(ა)იპ მწვანე ალტერნატივა

**მოპასუხე -** სსდ გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტი

**დავის საგანი -** ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობა, საჯარო ინფორმაციის გაცემა

სასამართლომ ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა სარჩელის წარმოებაში მიღების საკითხი და

**გ ა მ ო ა რ კ ვ ი ა:**

2023 წლის 22 თებერვალს თბილსის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას სასარჩელო განცხადებით მომართა ა(ა)იპ მწვანე ალტერნატივას წარმომადგენელმა მოპასუხე - სსდ გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის მიმართ, მოთხოვნებით: **ბათილად იქნეს ცნობილი სსდ გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფასა და ინფორმაციის პროაქტიულ გამოქვეყნებაზე პასუხისმგებელი პირის 2023 წლის 3 თებერვლის გადაწყვეტილება, რომლითაც არ დაკმაყოფილდა ა(ა)იპ მწვანე ალტერნატივას 2023 წლის 23 იანვრის № 23/09/03-113 განცხადების მოთხოვნა საჯარო ინფორმაციის გაცემის შესახებ და დაევალოს საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობისა და პროაქტიულ გამოქვეყნებაზე პასუხისმგებელ პირს გადასცეს ა(ა)იპ მწვანე ალტერნატივას 2023 წლის 23 იანვრის № 23/09/03-113 განცხადებით მოთხოვნილი ინფორმაცია.**

**სასამართლომ განიხილა განცხადების სასამართლო წარმოებაში მიღების საკითხი, გაეცნო წარმოდგენილ მასალებს, მიიჩნია, რომ სარჩელი არ აკმაყოფილებს საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 177-178-ე მუხლებით დადგენილ მოთხოვნებს, კერძოდ:**

**- დასაზუსტებელია სასარჩელო მოთხოვნა და წარმოსადგენია გასაჩივრებული აქტი:**

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 178-ე მუხლის პირველი ნაწილის "გ"-"თ" პუნქტების მიხედვით, სარჩელში უნდა იქნეს ჩამოყალიბებული დავის საგანი, მისი შესაბამისი მოთხოვნები, მოთხოვნების ფაქტობრივი საფუძვლები და მითითება კონკრეტული ფაქტობრივი გარემოებების დამადასტურებელ მტკიცებულებებზე, ასევე, მოთხოვნების სამართლებრივ საფუძვლებზე. სარჩელში ნათლად, გარკვევით და ამომწურავად უნდა იყოს მითითებული, თუ რას მოითხოვს მოსარჩელე, ვინაიდან სასამართლო სარჩელს იხილავს და გამოაქვს გადაწყვეტილება სწორედ კონკრეტული სასარჩელო მოთხოვნის ფარგლებში. ამავე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, სარჩელს უნდა ერთვოდეს მასში მითითებული მტკიცებულებები.

საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-2 მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, სასამართლოში ადმინისტრაციული დავის საგანი შეიძლება იყოს: ა) ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის შესაბამისობა საქართველოს კანონმდებლობასთან; ბ) ადმინისტრაციული ხელშეკრულების დადება, შესრულება ან შეწყვეტა; გ) ადმინისტრაციული ორგანოს ვალდებულება ზიანის ანაზღაურების, ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის ან სხვა რაიმე ქმედების განხორციელების თაობაზე; დ) აქტის არარად აღიარება, უფლების ან სამართალურთიერთობის არსებობა-არარსებობის დადგენა.

ამავე კოდექსის 22-25-ე მუხლებით განსაზღვრულია სასამართლოში ადმინისტრაციული სარჩელის აღძვრის წესი, კერძოდ, საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 22-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, სარჩელი შეიძლება აღიძრას ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობის ან ძალადაკარგულად გამოცხადების მოთხოვნით; ამავე კოდექსის 23-ე მუხლის თანახმად, სარჩელი შეიძლება აღიძრას ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის მოთხოვნით, ხოლო 24-ე მუხლის თანახმად, სარჩელი შეიძლება აღიძრას ისეთი მოქმედების განხორციელების ან ისეთი მოქმედებისაგან თავის შეკავების მოთხოვნით, რომელიც არ გულისხმობს ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემას. ამავე კოდექსის 25-ე მუხლის თანახმად, აღიარებითი სარჩელი შეიძლება აღიძრას აქტის არარად აღიარების, უფლების ან სამართლებრივი ურთიერთობის არსებობა-არარსებობის დადგენის შესახებ, თუ მოსარჩელეს აქვს ამის კანონიერი ინტერესი. აღიარებითი სარჩელი არ შეიძლება აღიძრას, თუ მოსარჩელეს შეუძლია აღძრას სარჩელი ამ კოდექსის 22-24-ე მუხლების საფუძველზე.

ამასთან, ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი განმარტავს, თუ რა არის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი – ადმინისტრაციული ორგანოს მიერ ადმინისტრაციული კანონმდებლობის საფუძველზე გამოცემული ინდივიდუალური სამართლებრივი აქტი, რომელიც აწესებს, ცვლის, წყვეტს ან ადასტურებს პირის ან პირთა შეზღუდული წრის უფლებებსა და მოვალეობებს. ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-

სამართლებრივ აქტად ჩაითვლება აგრეთვე ადმინისტრაციული ორგანოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება მის უფლებამოსილებას მიკუთვნებული საკითხის დაკმაყოფილებაზე განმცხადებლისათვის უარის თქმის შესახებ, ასევე ადმინისტრაციული ორგანოს მიერ გამოცემული ან დადასტურებული დოკუმენტი, რომელსაც შეიძლება მოჰყვეს სამართლებრივი შედეგები;

**მოცემულ შემთხვევაში, მოსარჩელის მოთხოვნას წარმოადგენს სსდ გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფასა და ინფორმაციის პროაქტიულ გამოქვეყნებაზე პასუხისმგებელი პირის 2023 წლის 3 თებერვლის გადაწყვეტილება, რომლითაც არ დაკმაყოფილდა ა(ა)იპ მწვანე ალტერნატივას 2023 წლის 23 იანვრის № 23/09/03-113 განცხადების მოთხოვნა საჯარო ინფორმაციის გაცემის შესახებ, თუმცა გასაჩივრებული აქტი არ არის წარმოდგენილი. ამასთან სასამართლო მიუთითებს, რომ თუ მოსარჩელის მოთხოვნას წარმოადგენს ვირტუალური უარის გასაჩივრება, ამ შემთხვევაში სასარჩელო მოთხოვნები მოყვანილი უნდა იქნეს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 22-25 მუხლებთან შესაბამისობაში.**

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 447-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, თუ მოსამართლე გამოარკვევს, რომ სარჩელი შეტანილია ამ კოდექსის 177-ე მუხლის მე-3 ნაწილში ან/და 178-ე მუხლში (გარდა იმავე მუხლის პირველი ნაწილის „თ“ და „ი“ ქვეპუნქტებისა და მე-3 ნაწილისა, თუ მოსარჩელეს მითითებული აქვს მტკიცებულებათა წარუდგენლობის საპატიო მიზეზი) მითითებული პირობების დარღვევით ან/და არ არის წარდგენილი სარჩელისა და თანდართული დოკუმენტების იმდენი ასლი, რამდენიც მოპასუხეა, ან/და სარჩელს არ ერთვის სახელმწიფო ბაჟის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტი ან/და წარმომადგენლის უფლებამოსილების დამადასტურებელი დოკუმენტი, სასამართლო გამოიტანს ხარვეზის შესახებ განჩინებას და მოსარჩელეს დაუნიშნავს ვადას მის შესავსებად. თუ მოსარჩელე დანიშნულ ვადაში შეავსებს განჩინებაში მითითებულ ხარვეზს, სასამართლო გამოიტანს განჩინებას სარჩელის წარმოებაში მიღების შესახებ; წინააღმდეგ შემთხვევაში სასამართლო გამოიტანს განჩინებას სარჩელის წარმოებაში მიღებაზე უარის თქმისა და მოსარჩელისათვის მისი დაბრუნების შესახებ, რაზედაც შეიძლება კერძო საჩივრის შეტანა. ასეთი განჩინების გამოტანის შემთხვევაში სახელმწიფო ბაჟი მთლიანად უნდა დაბრუნდეს.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით სასამართლოს მიაჩნია, რომ წარმოდგენილ სარჩელზე უნდა დადგინდეს ხარვეზი და მის შესავსებად უნდა განისაზღვროს 10 დღის ვადა, განჩინების მოსარჩელე მხარისათვის ჩაბარების მომენტიდან.

**სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი, მეორე მუხლებით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 178-ე, 284-285-ე, 414-ე, 447-ე მუხლებით და**

**დ ა ა დ გ ი ნ ა:**

1. ა(ა)იპ მწვანე ალტერნატივას  განჩინებაში მითითებული ხარვეზის შესავსებად განესაზღვროს 10 დღის ვადა განჩინების ასლის ჩაბარებიდან;

2. განემარტოს, რომ სასამართლოს მიერ დანიშნულ ვადაში ხარვეზის შეუვსებლობის შემთხვევაში, სასამართლო გამოიტანს განჩინებას  წარმოებაში მიღებაზე უარის თქმის შესახებ;

3. განჩინებაზე კერძო საჩივარი არ დაიშვება.

**მოსამართლე** **ბაია ოტიაშვილი**